# აი, როგორია ცხრაგზის ჩემპიონი

**მესინა,** 16 ივლისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა მეცხრედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა ბოლო ფინალურ მატჩში დამაჯერებლად მოუგეს ვერცხლის მედლების ერთ-ერთ წალდ პრეტენდენტს, პოლონეთის გუნდს — 92:55.

როგორია ევროპის ჩემპიონის სატურნირო მაჩვენებლები? საბჭოთა გუნდმა სულ 9 შეხვედრა ჩაატარა (3 ქვეჯგუფში და 6 ფინალში) და ყველა მოიგო ბურთების საერთო შეფარდებით — 777:349. საბჭოთა კალათბურთელები ყოველ მატჩში საშუალოდ 85 ქულას აგროვებდნენ, რაც აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. ევროპის ჩემპიონს ჰყავდა საუკეთესო დაცვაც, რომელიც თვითეულ მატჩში იღებდა მხოლოდ 38 ქულას.

სსრ კავშირის ნაკრებს არც ერთი შეხვედრის მოგება არ გასჭირვებია. ყველაზე საპატიო ანგარიშს მასთან მიაღწიეს ტურნირის მასპინძლებმა — იტალიელებმა, მაგრამ 30-ქულიანი სხვაობა კალათბურთში მაინც საგულისხმოდ ითვლება. დანარჩენ მეტოქეებს საბჭოთა ნაკრებმა ასეთი სხვაობით მოუგო: იუგოსლავიას — 33, პოლონეთს — 37, გდრ-ს — 38, ბულგარეთს — 44, ბელგიას — 50 (ფინალში) და 56 (ქვეჯგუფში), ჰოლანდიას — 62, გფრ-ს — 78 ქულით.

გაგაცნობთ ევროპის წლევანდელ ჩემპიონებს: ნელი ფომინიხი (სვერდლოვსკის „ურალმაში"), 25 წლის, სიმაღლე — 172 სმ; თამარ სლიდენკო (როსტოვის „ბურევესტნიკი"), 28, 170; ნადეჟდა ზახაროვა (ლენინგრადის „სპარტაკი"), 22, 169; ლიუდმილა ბუბნიკოვა (მოსკოვის „დინამო"), 22, 169; ლიუდმილა ბაზარევიჩი (მოსკოვის „ხერპი მოლოტი"), 27, 172; ალისა ანტიპინა (ნოვოსიბირსკის „დინამო"), 29, 180; გალინა ვორონინა (მოსკოვის „დინამო"), 22, 190; ზიტა ბარეიკიტე (ვილნიუსის „კიბირკშტისი"), 22, 187; სკაიდრიტე ბუდოვსკა-სმილძინია (რიგის ტტტ), 24, 189; რაიცა პროკოპენკო (ტაშკენტის „ტექსტილმაში"), 26, 200; ლიუდმილა შვეცოვა (სვერდლოვსკის „ურალმაში"), 22, 189; ულიანა სემიონოვა (რიგის ტტტ), 16, 207.



ხურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ხხედან — ა. ანტიპინა და ზ. ბარეიკიტე; მეორე რიგში — ნ. ზახაროვა, ლ. ბუბნიკოვა, თ. სლიდენკო, ლ. ბაზარევიჩი, ნ. ფომინიხი; მესამე რიგში — უ. სემიონოვა, ს. ბუდოვსკა-სმილძინია, ლ. შვეცოვა, გ. ვორონინა და რ. პროკოპენკო.

ფოტო რ. ალფიმოვისა (აპნ-ი).

# ჩემპიონები ვადამდე

**ლენინაკანი,** 16 ივლისი. კრივში სსრ კავშირის პირველობის ჩემპიონები დღეს აქ ვადამდე გახდნენ კიეველი ვ. მუსალიმოვი (მეორე ნახევარსაშუალო წონა) და ვილნიუსელი დ. პოზნიაკი (ნახევარმძიმე წონა). ეს ფინალური ბრძოლების წინ გახდა ცნობილი, როცა მუსალიმოვის მეტოქემ ა. პრივალოვმა (პერმი) და პოზნიაკის მოწინააღმდეგემ ა. კისელიოვმა (მოსკოვი) ავადმყოფობის გამო უარი განაცხადეს რინგზე გამოსვლაზე.

## ფინალში!

**სვერდლოვსკი,** 16 ივლისი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ზონალური გათამაშება „სიჭაბუკის თასზე".

I ადგილი წილად ხვდა რსფსრ-ს ნაკრებს. საქართველოს გუნდი გავიდა II ადგილზე და მოიპოვა ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება, რომელიც 1 აგვისტოს დაიწყება არზამასში.

ზონალურ ტურნირში დაწესებული იყო საგანგებო პრიზები. საუკეთესო მცველის პრიზი მიიღო ბესალაშვილმა, ხოლო თავდამსხმელისა — შელიამ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 139 (3623)

17 1968 წ. ივლისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


# ლაპარაკობს კორჩნოი

როგორც კი X პარტიაში კორჩნოი და ტალი ყაიმზე შეთანხმდნენ, ლენინგრადელ დიდოსტატს ჟურნალისტები შემოეხვივნენ. დიდოსტატს კორესპონდენტებმა კითხვები დაუყარეს:

● **ალბათ კმაყოფილი ხართ გამარჯვებით?**

— რა თქმა უნდა.

● **თამაშით?**

— კიდეც ვარ და კიდეც არა. შეცდომები მქონდა. ჩანაფიქრი ყოველთვის სიზამდვილედ ვერ ვაქციე.

● **დაღლას თუ გრძნობთ?**

— დავიღალე. მიხარია, რომ ფინალურ მატჩამდე ერთ თვეს დავისვენებ.

● **როდის იგრძენით, მატჩს რომ იგებდით?**

— როცა ანგარიში იყო 3,5:1,5, ვიფიქრე, ახლავე უნდა დავამთავრო მატჩი-მეთქი და VI პარტიაში „ვეცი" ტალს. რა თქმა უნდა, მან მკაცრად დამსაჯა. მაშინ გადავწყვიტე მშვიდად მეთამაშა: ტალთან ხუმრობა არ შეიძლება.

● **რას იტყვით მატჩის ანგარიშზე?**

— 5,5:4,5 სწორად გამოხატავს დაძაბულ და ძნელ ბრძოლას. სხვა ანგარიში ალბათ არც იყო მოსალოდნელი.

● **როგორ გგონიათ: ფინალში ვისთან მოგიწევთ თამაში?**

— სპასკის გამარჯვების მეტი შანსი აქვს, მაგრამ ლარსენი იოლად არ დათმობს ფინალში თამაშის უფლებას. დრამატული სტარტის შემდეგ მან V პარტია მოიგო. სჯობს დავუცადოთ მატჩის დამთავრებას.

● **როგორი ანგარიში გაქვთ სპასკისთან და ლარსენთან?**

— სსრ კავშირის პირველობებსა და საერთაშორისო ტურნირებში ყაიმების ჩაუთვლელად სპასკისთან დადებითი ბალანსი მაქვს — 5:3; ლარსენს მხოლოდ ორჯერ შევხვდი და ორივეჯერ მოვუგე.

● **თქვენი გეგმები?**

— დასვენება!



## პარტია გადაიდო

**მალმე,** 16 ივლისი. გუშინ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბ. სპასკისა და ბ. ლარსენის ნახევარფინალური მატჩის VI პარტია.

გათამაშდა ინგლისური დასაწყისი. თამაშის გამწვავების მიზნით ლარსენმა (თეთრები) 21-ე სვლაზე მეტოქეს ხარისხი შესწირა. სპასკი ზუსტად იცავდა თავს. 42-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

აი, გადადებული პოზიცია:

**თეთრები:** მფg1, ლc8, მc4, პპ:a2, b3, e3, g2, h3; **შავები:** მფg7, ლc7, ეg6, პპ:a7, c6, c5, h7.

სვლა თეთრებისაა.

სპეციალისტების აზრით, ლარსენს ყაიმის შანსებს ინარჩუნებს.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 3,5:1,5 სპასკის სასარგებლოდ.

# უბილავა თუ?..

**ტალინი,** 16 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელშიც 9 ოსტატი და 5 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს ახალგაზრდა ოსტატებმა — თბილისელმა ე. უბილავამ და მოსკოველმა ა. ბელენკიმ — 9-9 ქულა. III ადგილი წილად ხვდა ლატვიელ ოსტატ ვ. ჟურავლიოვს.

ჩემპიონის გამოსავლენად გამარჯვებულთა შორის დაინიშნა დამატებითი ოთხპარტიიანი მატჩი. თუ იგი ყაიმით (2:2) დამთავრდა, ჩემპიონად უბილავა გამოცხადდება, ვინაიდან ტურნირში მან მოუგო ბელენკის. გუშინ მეტოქეებმა გაითამაშეს I პარტია. იგი გადაიდო.

პირველობაში საქართველოდან კიდევ ორი მოჭადრაკე თამაშობდა: ოსტატი ი. ჩიქოვანი და ოსტატობის კანდიდატი ლ. კერნოჟიცკი. პირველმა VI-VII ადგილები გაიყო, მეორემ — IX-X.

◆ **გოსტადი,** 16 ივლისი. მოსკოველი ჩოგბურთელი ო. მოროზოვა შვედ ე. ლუნდკვისტთან წყვილში შვეციის ჩემპიონი გახდა. ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მათ დაამარცხეს ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკული დუეტი — კ. ჰარტერი და ჯ. ჰელდმანი — 6:0, 6:4. ვაჟებში ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა მ. მალიგანმა (იტალია), ხოლო ქალებში — ჰელდმანმა. ვაჟთა წყვილებში საუკეთესონი იყვნენ კ. გრებნერი და ა. ეში (აშშ).

◆ **ეხლინგენი** (გფრ), 16 ივლისი. როგორც მოსალოდნელი იყო, 100 და 200 მეტრზე ვაჟთა რბენა მსოფლიო რეკორდსმენის რ. სმითის გამარჯვებით დამთავრდა — 10,2 და 20,5. მან აჯობა მეხიკოს III წინაოლიმპიურ კვირეულში გამარჯვებულს, თანამემამულე ჯ. კარლოსს — 10,4 და 20,9. ბერძენმა ქ. პაპანიკოლაუმ ჭოკით 5 მ სიმაღლე დაძლია.

◆ **ზევლე** (შვეცია), 16 ივლისი, მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრალიელმა რ. კლარკმა 3000 მეტრზე რბენაში ჩამოიტოვა სახიფათო კონკურენტი — ამ მანძილზე მსოფლიო რეკორდსმენი კ. კეინო და ნ. ტემუ. მაგრამ კეინო გამარჯვებულს (7.59,4) სულ 0,2 წამით ჩამორჩა. მალე კეინომ 1500 მეტრზე რბენის სტარტიც აიღო და ფინიშთან მესამე მივიდა (3.51,0). გაიმარჯვა ამერიკელმა ჯ. მეისნმა — 3.42,9. ვ. მეტიუზმა (აშშ) ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 46,1. 100 მეტრზე რბენა იოლად მოიგო ჯ. გრინმა—10,4. სტადიონზე 6700 მაყურებელი იყო.



# საბოლოოდ

**დნეპროპეტროვსკი,** 15 ივლისი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა მოზარდთა I საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული გუნდური პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მოსკოვის გუნდმა — 25 ქულა. შემდეგ ადგილებზე არიან: II. უკრაინა — 23, III. რსფსრ — 22,5, IV. ლენინგრადი — 17,5, V. ბელორუსია — 16,5, VI. უზბეკეთი — 16,5.

მეორე ფინალურ ჯგუფში, სადაც ბრძოლა VII-XII ადგილებისთვის მიმდინარეობდა, 23 ქულით ყველას აჯობეს საქართველოს მოჭადრაკეებმა.



# თამაშებს ნახავს ნახევარი მსოფლიო



მექსიკის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის [...] დომარეს პედრო რამირეს ვასკესს ჟურნალისტებმა მიმართეს შეკი[...] „რომელი ქვეყნის მაყურებლები ნახავენ ოლიმპიადის შეჯიბრებ[...] ლეეკრანებზე?“.

ვასკესმა მოკლედ უპასუხა: „თამაშებს ნახავს ნახევარი მსოფ[...] ეს გადაჭარბება არ არის. მომავალი ოლიმპიური თამაშები მარტო [...] წილეთა რიცხვით კი არ იქნება სარეკორდო. ამ შეჯიბრებებს ნახ[...] დენი მაყურებელი, რამდენიც ოლიმპიადის ისტორიას არ ახსოვს. [...] ყოვლისა, თავად მექსიკაში თამაშებს სამივე არხით გადასცემენ. მ[...] ტელევიზიის წარმომადგენელი ახლავე აცხადებს: „ვფიქრობ, ოლ[...] დის დღეებში სპორტი დაჯაბნის ყველაფერს, პოლიტიკას და დეტ[...] ფილმებსაც კი“.

ცნობილია, რომ პირდაპირი არხებით სატელევიზიო რეპორტაჟ[...] ქვეყანაში გადაიცემა. ამასთან, როგორც ვასკესმა აღნიშნა, ელიან[...] განაცხადებსაც. ტექნიკური თვალსაზრისით ასეთი გადაცემებისთვ[...] თქმის ყველაფერი მზადაა. ტულანსინგში (გიდალგოს შტატი) მეხ[...] 20 კილომეტრის დაშორებით იაპონიის ფირმებმა და იაპონელ[...] ციალისტებმა ააგეს გიგანტური მიწისზედა სადგური მძლავრი ანტ[...] აქედან მოეწყობა ტელეგადაცემები საგანგებო თანამგზავრების მეშ[...] აზიის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. მექსიკელები გეგმავენ [...] დღიურ ოლიმპიურ პროგრამას, გათვალისწინებულს დაახლოებ[...] საათზე, ბოლო სამ დღეს კი 17,5 საათზე. ამისთვის მათ მონაწილე [...] ბი შეთანხმების შესაბამისად 21,85 მილიონ დოლარს გადაუხდიან. [...] ლი ნაწილობრივ დაფარავს ოლიმპიადის ორგანიზატორთა ხარჯს.

# კმაყოფილია თუ თავს გვაჩვენებს?

### ფიქრები კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებზე

გომელსკის ულოცავენ. გომელსკი მილოცვებს იღებს. გომელსკი კმაყოფილია. გომელსკი ვითომ კმაყოფილია. და მაინც, კმაყოფილია თუ თავს გვაჩვენებს, კმაყოფილი ვარო?

ვცადოთ გარკვევა. მოდით, თვითეულმა თქვენგანმა წარმოიდგინეთ, რომ ალექსანდრე გომელსკი ხართ. ეს ადვილია. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელად თავის წარმოდგენა უფრო იოლია, ვიდრე მწვრთნელობა.

მაშ ასე. ყველა გილოცავთ. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მინსკში 6 ქულით წააგო ამერიკელებთან (78:84), მოსკოვში კი ბრწყინვალედ აიღო რევანში: პირველ მატჩში—8 ქულა (91:83), მეორეში — 11 (91:80).

ისინი, ვისაც ყველა თამაში უნახავს, გვარწმუნებენ, მეორე მატჩში ამერიკელები უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე პირველში, მესამეში კი მეორეზე უკეთესადო. მსოფლიოს ჩემპიონებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ოლიმპიური ჩემპიონები.

მაგრამ თქვენ არც ისე კმაყოფილი ხართ, როგორც ეს უცხო თვალს შეიძლება მოეჩვენოს. თქვენ ხომ დილეტანტი არა ხართ. მწვრთნელი ხართ, თქვენი საქმის სპეციალისტი. კარგად იცით, რომ მოსკოვამდე და მინსკამდე აშშ-ს ნაკრები ლიუბლიანასა და ბელგრადში თამაშობდა იუგოსლავიის გუნდთან. იმასთან კი არა, შემდეგ სსრ კავშირში რომ ჩამოვიდა, არამედ იმასთან, რომელშიც თამაშობდნენ კორაჩი, დანეუ, ჩოსიჩი, რაჟნატოვიჩი, სკანსი, ცვეტკოვიჩი, — იმ იუგოსლავიურ გუნდთან, რომელიც მეხიკოში გამოვა. ლიუბლიანასა და ბელგრადში ორივე მატჩი იუგოსლავიის ნაკრებმა მოიგო (87:79, 83:78). მოსკოვიდან კი აშშ-ს ნაკრები ჰელსინკს გაემგზავრა და ძლივს მოუგო ფინეთის ნაკრებს — 91:87... აი, ისიც, ანგარიშის ფასი — 2:1.

აშშ-ს ნაკრებში ტოკიოს თამაშების არც ერთი მონაწილე არაა. საინტერესოა, იმ 12 ამერიკელიდან სსრ კავშირში რომ ჩამოვიდნენ, მეხიკოში რამდენი გამოვა? ჰ. ვაუგენი, აშშ-ს ნაკრების მეორე მწვრთნელი ამბობს, რომ მეხიკოში წასვლის ნამდვილი კანდიდატებიდან მოსკოვში ვერ ჩამოვიდნენ მხოლოდ ბილ ჰასკეტი და ჯორჯ უაიტი. პირველზე ვაუგენმა თქვა, რომ იგი ცენტრალური მოთამაშეა, რომელიც ტანით, აღნაგობითა და ძალით ანატოლი პოლივოდას ჰგავს, თამაშით კი სპენსერ ჰეივუდზე უკეთ თამაშობს. იგი უფრო მძლავრია და უკეთაც ტყორცნის. უაიტი გუნდის საუკეთესო მცველია. გამოდის, რომ უაიტი ბარეტსა და სკოტზე უკეთ თამაშობს, რომლებიც ჩვენ აღტაცებას გვგვრიდნენ.

გადავიდა თუ არა პროფესიონალებში ლიუ ალსინდორი? აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი კაროლდ მანტერსი მხრებს იჩეჩს. არა, პროფესიონალებთან კონტრაქტი ჯერ არ დაუდევს და შეიძლება არც დადოს: ალსინდორი სტუდენტია, არსებული წესების მიხედვით კი სტუდენტს პროფესიონალთა კლუბში მანამდე არ მიიწვევენ, ვიდრე 4 წელიწადს არ ისწავლის. შეუდარებელს მას ჯერ კიდევ ვერ დაუძახებ, მაგრამ კალათბურთის თამაში ამ გოლიათმა მართლაც იცის. გამოვა თუ არა იგი მეხიკოში, ჯერ არაა ცნობილი, თუმცა ეს შესაძლებლობა გამორიცხული არ არის.

თქვენ მწვრთნელი ხართ და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი პაულაუსკასისა და საკანდელიძის თამაშით. მაგრამ კიდევ ვინ თამაშობდა კარგად? ანდრეევი? შეიძლება, მაგრამ მხოლოდ მოსკოვის მატჩებში. მინსკში იგი აშკარად ცუდად გამოვიდა. პოლივოდა? იგი ერთ მატჩში, მოსკოვის პირველ მატჩში ძალიან კარგად თამაშობდა, ორ დანარჩენში კი თავის შესაძლებლობაზე ნაკლებად. გაგვახარეს დებიუტანტებმა — ჟარმუჰამედოვმა და კაპრანოვმა. მაგრამ რა დასამალია, ჩვენ არ ვივიწყებდით, რომ ისინი დებიუტანტები არიან. ლიპსო და ტომსონი ვერასგზით ვერ ჩადგნენ ფორმაში, ბელოვმა კი დაკარგა იგი. მაშ ასე, დღეს თამაშობენ მხოლოდ პაულაუსკასი და საკანდელიძე. განა ცოტა არ არის? გაზეთები წერენ: გუნდმა ჩინებული კალათბურთი გვიჩვენაო. თქვენ, მწვრთნელს, გგონიათ, რომ ეს მთლად ასე არაა. სწრაფი „მოწყვეტა“ მართლაც კარგია. ბურთისთვის გუნდი ფარქვეშ მართლაც კარგად იბრძვის: მოსკოვის პირველ მატჩში ორივე ფარი მოუგეს ამერიკელებს, მაგრამ როგორც კი ამერიკელებმა ტემპი შეცვალეს, დაწყებულ პოზიციურ თავდასხმაში სსრ კავშირის ნაკრებმა შეცდომების დაშვება დაიწყო. პრესინგი გაუბედავი იყო: მასში მონდომება მეტი ჩანდა, ვიდრე უნარი.

გამოდის, რომ ყველაფერი რიგზე როდია. მართალია, წინაა სამი თვე, იმედებისა და მუშაობის სამი თვე, მაგრამ ეს სამი თვე წინა აქვთ ამერიკელებსაც, იუგოსლავიელებსაც, მექსიკელებსაც, ბრაზილიელებსაც, ისინი კი სახიფათო მეტოქენი არიან, განსაკუთრებით, იუგოსლავიელები. არ არის გუნდი, რომელიც ბოლო წლებში მათ არ დაემარცხებინოთ. რანკო ჟერავიცა, ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან გამოცდილი და ენერგიული მწვრთნელი, გულახდილად ამბობს: მეხიკოში ყველა წავა, მხოლოდ კორაჩისა მეეჭვებაო. მაგრამ იუგოსლავიელები უმისოდაც საკმაოდ ძლიერები არიან.

ამერიკელებისა და იუგოსლავიელებისთვის წინაოლიმპიური ტურნირი დაზვერვა იყო. მათ უნახავთ და ძალიან კარგად იცნობენ სსრ კავშირის ნაკრებს. კანდიდატებიც ნახეს: ანატოლი კრიკუნიც, ვლადიმერ სალუხინიც, მიხეილ ქორქიაც მინსკში და მოსკოვში ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდნენ. ვინ ნახა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა? მისმა კოლეგებმა შინ დატოვეს ბევრი მოთამაშე, რომელთა წაყვანასაც მეხიკოში აპირებენ.

და თქვენ, მწვრთნელი გუნდისა, რომელიც ოთხი ოლიმპიადიდან ვერცხლის მედლებით დაბრუნდა, თქვენს თავს ეუბნებით, რომ თუ მეხუთედაც ვერცხლით დაბრუნდებით, უგუნებოდ შეგხვდებიან, აპლოდისმენტები თავშეკავებული იქნება. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ჩემპიონები მოსკოვის ორ მატჩში დამარცხდნენ. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ პირველი ადგილის დაკავება იოლი არ იქნება.

... აი, ახლა განსაჯეთ, კმაყოფილი იყო თუ არა ალექსანდრე გომელსკი, როცა მილოცვებს იღებდა?

ა. პინჩუკი.

## ტელეტაიპის ლენტიდან

✦ ბუქარესტი, 15 ივლისი. რუმინეთის დედაქალაქის მახლობლად გამართულ საერთაშორისო რეგატაში 11 ქვეყნის მებაიდარეებმა და კანოისტებმა იასპარეზეს. თავი გამოიჩინეს უკრაინელმა სპორტსმენებმა ლ. პინაევამ და ა. სერედინამ. პინაევას ბაიდარამ ყველაზე სწრაფად — 2 წუთსა და 5,4 წამში დაფარა მანძილი, ხოლო სერედინა ფინიშთან მეორე იყო — 2.05,5. შემდეგ მეგობარი-მეტოქეები შეერთდნენ და წყვილმოსასმელიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დუეტს ჩამორჩნენ.

✦ იმსი (ზემო ავსტრია), 15 ივლისი. აქ გაიხსნა სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდური პირველობა. I ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო ბრაზილიის კოლექტივს — 3,5:0,5. აი, სხვა გუნდების შედეგებიც: გფრ — შოტლანდია 3:1, საბერძნეთი — ჰოლანდია 3:1, იუგოსლავია — ფინეთი 2,5:1,5, ინგლისი — ისლანდია 2,5:1,5, აშშ — ჩეხოსლოვაკია 2:2.

## წყნარი ოკეანის „თოლია“

ვლადივოსტოკი, 16 ივლისი. ლენინის ორდენოსან ქარხანაში დაიწყო პლასტმასის სამადგილიანი კარჭაპების სერიული დამზადება.

„თოლიაზე“ შეიძლება დაიდგას საკიდი ძრავა, რომლის წყალობითაც კარჭაპი საათში 20 კმ სისწრაფეს ავითარებს. მას აქვს გამარტივებული ტიპის ნიჩბებიც.

მალე პირველი „თოლიები“ სპორტულ მაღაზიებში გაჩნდება.

# რას უნევს რეკლამას „სპორტს ილიუსტრეიტედ“

ამერიკულმა ჟურნალმა „სპორტს ილიუსტრეიტედმა“ ერთ-ერთ ბოლო [...] ში გამოაქვეყნა პენტაგონის დაკვეთით გაკეთებული მორიგი რეკლამა. „[...] — იუწყებოდა ჟურნალი, — თქვენ გახდებით ნამდვილი, ფიზიკურად [...] მამაკაცი, შემოივლით ბევრ ქვეყანას, მსოფლიოს ნახავთ. სამხედრო ფორმ[...] ველ ყოვლისა, სპორტია ნამდვილი ბიჭებისთვის“.

რა „სპორტს“ ქადაგებს ამერიკული ჟურნალი?

ორი ჩასკვნილი ჯანმაგარი ჭაბუკი გაბოროტებული სახეებით მიიწევს [...] ნეთზე. ისინი მიწაზე გორავენ, ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ. შემდეგ [...] წყვილი გამოდის. ერთს დანა უჭირავს, მეორე უიარაღოა. პირველივე დ[...] და ჯარისკაცს მხარზე სისხლის ზოლი აჩნდება, მისი მეტოქე მიწაზე [...] სიმწრით იგრიხება — ამოგდებული ხელი სტკივა.

ასე ტარდება ჩვეულებრივი მეცადინეობა ამერიკის სპეციალური ნაწ[...] რომლებსაც ვიეტნამის დამსჯელი ექსპედიციებისთვის ამზადებენ. ამგვარ ს[...] იწვრთნებიან შორეულ ინდოჩინეთში გაგზავნის წინ აშშ-ს ლანდსკნეჰტები [...] ლა სამხედრო ბაზაზე. აქციონ ადამიანი მხეცად, აიძულონ იგი დაივიწყოს [...] ტიმენტალური სიკეთე“, აქციონ ჯარისკაცი ტვინგახევებულ მკვლელ-რობოტ[...] აი, მიზანი, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქტორები ისახავე[...] ნი მოითხოვენ, რომ „განსაკუთრებული დანიშნულების რაზმების ჯარისკაც[...] ზიკური მომზადება ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებულ შტატებში იყოს რა[...] ძლება შეუბრალებელი, მკაცრი და არავითარ შეღავათს არ ითვალისწინებდ[...]

განა გასაკვირია, რომ ამერიკელი ჯარისკაცები წარმატებით იყენებენ [...] ანთ „სპორტულ“ ხერხებს სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის [...] ალმდეგ? „ჩვენ აქ საკუთარი სპორტი გვაქვს. შეგვიძლია ხელები მოვამტ[...] ექვმიტანილ ვიეტნამელს, ბიჭს დანა ჩავცეთ და ერთ წამში ხელყუმბარა [...] დოთ ქოხში. ჩვენ ვესვრით ყველაფერს, რაც გზად შემოგვხვდება, და არ შე[...] ვთქვა, რომ ვამაყობ საკუთარი თავით, ჩემი მეგობრებით ან ჩემი ქვეყნით[...] წერს სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ერთ-ერთი ლანდსკნეჰტი ამერიკული ჟურ[...] „ბიკონ-ჟორნელის“ ფურცლებზე.



„კოლოსი[...]

# გამოცდა როტზეეს ტბაზე

ლიუცერნი, 15 ივლისი. აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატებმა წინაოლიმპიური გამოცდა როტზეეს ტბაზე გამართეს. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი წარმატება მოიპოვეს, — შვიდიდან ოთხი გაცურვა მოიგეს და ორში III ადგილი დაიკავეს.

ლიუცერნში 19 ქვეყნის 100 გუნდზე მეტი ჩამოვიდა. მონაწილეთა სია მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა ტიტულებით იყო აჭრელებული. მართალია, ამ სეზონში ერთ-ერთ უდიდეს ტრადიციულ რეგატაში არ მონაწილეობდნენ გდრ-ის სპორტსმენები, რომლებიც ამ დღეებში თავიანთი ქვეყნის პირველობას ატარებენ.

პირველი საპატიო პრიზი მოიპოვეს არმიელმა სპორტსმენებმა ლ. დრაჩევსკიმ და ტ. ხელმიამ — ორადგილიანი გასაშლელით (მესაჭით). მთელი დისტანციის მანძილზე საბჭოთა ნიჩბოსნები წარმატებით იგერიებდნენ ევროპის ჩემპიონთა — იტალიელთა იერიშს და ფინიშზე 0.07 წამით ჩამოიტოვეს ისინი. გამარჯვებულის დროა 7.19,54.

მოსკოველთა წარმატება განამტკიცეს რიგის დინამოელებმა, რომლებმაც უმესაჭო ოთხიანით დისტანციის გავლას 6.19,28 მოანდომეს. შემდეგ ფინალურ გაცურვაში წყვილი ორადგილიანები გამოვიდნენ და ორივე საბჭოთა გუნდმა საპრიზო ადგილი დაიკავა. ახალმა საბჭოთა წყვილმა, მოსკოველებმა ა. სასმა და ა. ტიმოშინმა (6.32,1) ფინიშთან მკვეთრი სპურტით ჩამოიტოვეს ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები, ბულგარელები ა. ქელევი და ი. ვილჩევი. თ. ტიურინმა და ე. ქდანოვიჩმა III ადგილი დაიკავეს.

წარმატებით გამოვიდა საბჭოთა რვაადგილიანიც, რომლის ეკიპაჟსაც ვილნიუსის, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის სპორტსმენები შეადგენენ. მან ორჯერ მოუგო ძლიერ მეტოქეებს, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონებს — „რატცებურგის" (გფრ) ნიჩბოსნებს. წინასწარ გაცურვაში საბჭოთა ეკიპაჟმა გაიმარჯვა შედეგით 5.38,69. ასეთი დრო როტზეეს ტბაზე ჯერ არავის უჩვენებია. ფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა მთელი კორპუსით გაუსწრო პრაღის „დუკლას" წარმომადგენლებს.

ერთადგილიანებით III ადგილი დაიკავა 19 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ნ. ბალანკოვმა. გაიმარჯვა ევროპის 1965 წლის ჩემპიონმა ი. მაისნერმა (გფრ). ვ. ივანოვი VIII ადგილზეა.

ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავებით შეჯიბრება მოიგეს გფრ-ის სპორტსმენებმა, ორადგილიანი უმესაჭო ნავებით — ჰოლანდიის ნიჩბოსნებმა.



...ციმბირის ათასობით მშრომელი ტურიზმითაა გატაცებული. მარტო ომსკის ოლქში 1968 წლის ბოლოსთვის 570 ტურისტული სექცია და 42 ტურისტული კლუბი იქნება. ...მშრომებში ათასობით მშრომელი გაივლის ამხანაგობის ...რგ სკოლას, დაისვენებს, ჯანს გაიმაგრებს. მათი უმეტესობა მიიღებს „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშანს, საუკეთესოებს სპორტული თანრიგები მიენიჭებათ.

• • •

სურათზე: ტურისტები ირტიშის ყურესთან.

ფოტო მ. მარაბანოვისა.

## ნორჩ მოდელისტთა ტურნირი

ბავშვობაში ვის არ უოცნებია ზღვაზე, შორეული ცურვის კაპიტნობაზე, ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობაზე. მეზღვაურის ფორმის ასობით მოყვარული სკოლის მერხიდან ქმნის გემის მოდელებს და ყველაზე პოეტური სახელებით ნათლავს მათ.

15 ივლისს ფრუნზეში დამთავრდა გემის მოდელების ნორჩი ავტორების შეჯიბრება, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობაში, რომელიც 5 დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ ყირგიზეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, საქართველოს ნაკრები გუნდები.

ეს დიდი შეჯიბრება მოიგეს ტაჯიკეთის მოსწავლეებმა. II ადგილზე გავიდნენ ყაზახეთის წარმომადგენლები, III — ყირგიზეთის მოდელისტები.

## ვერცხლის პრიზისთვის

იტალიის მოტოსპორტის ეროვნული ფედერაციის თაოსნობით წლეულს ეწყობა რალი, რომელსაც ყოველწლიურად მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (ფიმ) ატარებს. ამ საერთაშორისო ტურისტულ-სპორტული თავშეყრის ცენტრი იქნება იტალიური ქალაქი პერუჯა, რომელიც აპენინის ნახევარკუნძულის ზედა ნაწილში მდებარეობს. შეჯიბრების წესებით, რალის მონაწილენი სტარტს თავიანთ კლუბებში აიღებენ და საგზაო მოტოციკლებით, მოტოროლერებით ან მოპედებით მივლენ ფინიშამდე, რომლის ადგილსა და დროს ორგანიზატორი ქვეყანა ადგენს.

წლევანდელ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. აას-ის კორესპონდენტმა დელეგაციის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის მოტოსპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს ხ. იუდინს სთხოვა ეამბნა მომავალი ასპარეზობის შესახებ.

— წლეულს საერთაშორისო ფედერაცია 23 შეჯიბრებას ატარებს, — თქვა იუდინმა. — საბჭოთა გუნდი 1963 წლიდან ოთხჯერ მონაწილეობდა ამ ასპარეზობაში და მუდამ I ადგილზე გადიოდა როგორც ეროვნულ, ისე საკლუბო ჩათვლაში. შარშან სსრ კავშირის მოტოსპორტის ფედერაცია რალის ორგანიზატორი იყო. 25 ქვეყნის 1200 მონაწილეს მოსკოვი მასპინძლობდა.

ახლა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში 75 სპორტსმენი შედის. ისინი სამამულო წარმოების 50 მოტოციკლითა და 13 მოტოროლერით გაივლიან დიდ და ძნელ გზას. მათ შორის არიან საკლუბო გუნდები „ურალი" (ირბიტი), „პლანეტა" (მოსკოვი), „ვიატკა", „კალევი" (ტალინი), „კრასნი ტრეუგოლნიკი" (ლენინგრადი) და მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის გუნდი.

იმის წარმოსადგენად, თუ რა გზა ელით საბჭოთა სპორტსმენებს, ვიტყვი, რომ „ურალმა" მარტო ირბიტიდან ერუჯამდე 5975 კილომეტრი უნდა გაიაროს. იეევსკელებმა კი იტალიაში გამგზავრებისთვის 10 ათასი კილომეტრი უნდა დაფარონ. ეს უზარმაზარი მანძილი რალის მონაწილეებმა უავარიოდ და საგზაო მოძრაობის წესების დაცვით უნდა გაიარონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გქონდეს საპრიზო ადგილის იმედი. ეროვნულ და საკლუბო ჩათვლაში გამარჯვებულები ასე გამოვლინდებიან: განვლილ კილომეტრებს გადაამრავლებენ იმ მოტოციკლების რიცხვზე, რომლებიც დადგენილ ვადაში და მიღებული წესების დაცვით მივლენ ფინიშთან.

გამარჯვებულები საერთაშორისო ფედერაციის გარდამავალ პრიზს მიიღებენ. ჯერ კიდევ 1936 წელს დაწესებული ვერცხლის პრიზი ერთი წლით გადაეცემა იმ ეროვნულ ფედერაციას, რომლის მძღოლებიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებენ. სსრ კავშირის მოტოსპორტის ფედერაციამ 1964 წელს საერთაშორისო ფედერაციას საჩუქრად გადასცა მსოფლიოს პირველი კოსმონავტის იური გაგარინის სახელობის გარდამავალი პრიზი. ჯილდოს მიიღებს ეროვნული ფედერაცია, რომელსაც შეჯიბრებაში მეტი მონაწილე ეყოლება. ამ პრიზის მფლობელს საპატიო წიგნში შეიტანენ. შარშან ეს ორი პრიზი საფრანგეთის გუნდმა მოიპოვა.

შარშან ჩვენი მოტოსპორტის ფედერაცია სპორტულ ჩათვლაში არ მონაწილეობდა, მაგრამ იგი აღსავსეა სურვილით, რომ საერთაშორისო ფედერაციის მთავარი პრიზები წლეულს საბჭოთა კავშირს დაუბრუნდეს.



## ...ძალას იკრებს

ბელორუსიის სსრ. ბრესტის ოლქი, პინსკის რაიონი. კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრების აღსანიშნავად სპორტული დღესასწაული გაიმართა. იმ დღეს გულგრილი არავინ დარჩენილა. შეჯიბრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სტადიონს გულშემატკივრები მოაწყდნენ. მოდიოდნენ ფეხით, მანქანებით, მოტოციკლებით. დიდი და პატარა მოვიდა, რომ ქომაგობა გაეწია კოლმეურნე ფეხბურთელებისთვის, ფრენბურთელებისთვის, მოფარიკავეებისთვის.

... კოლმეურნეობაში ტრადიციად იქცა ასეთი სპორტული დღესასწაულები. ასობით მეცხოველე, მიწის მუშა, მექანიზატორი მონაწილეობს შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაში შედის ფრენბურთი, ფეხბურთი, სროლა, მძლეოსნობა, ველორბოლა. სპორტსმენებს მაგალითს აძლევს არტელის თავმჯდომარე ა. სტარიკოვი. იგი რიკაობის ოსტატიცაა, მსროლელიც. მისი მეუღლე ელეონორა მეორეთანრიგოსანი მსროლელია, ვაჟები — ვლადიმერი და ალექსანდრე პირველთანრიგოსნები არიან.

კოლმეურნეებისთვის სპორტი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სოფლის სპორტსმენებმა სხვადასხვა შეჯიბრებაში 28 თასი დაისაკუთრეს. ბევრჯერ მოუპოვებიათ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები... არტელის წევრები განსაკუთრებით ამაყობენ ფეხბურთის გუნდით, რომელიც რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეობს.

ამ კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს რესპუბლიკაში პირველს მიენიჭა სასოფლო სპორტული კლუბის სახელი — „კოლოსი". ახალგაზრდობამ ააგო სტადიონი და ტირი. ახლა შენდება სპორტული დარბაზი და მალე ფიზკულტურელებს მთელი წლის მანძილზე ვარჯიშის საშუალება ექნებათ.

კოლმეურნეობის ყველა ბრიგადას აქვს ფრენბურთისა და რიკაობის მოედნები, შექმნილია სპორტული სექციები. მათგან ყველაზე მასობრივია მძლეოსნობის, სროლის, ველოსპორტისა და ფეხბურთის სექციები. მეცადინეობას ატარებენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, რომლებმაც უკვე 160 თანრიგოსანი მოამზადეს.

ამას წინათ არტელის გამგეობამ გადაწყვიტა შექმნას ჯანმრთელობის ქალაქი ხელოვნური წყალსაცავის ახლოს, რომელსაც ირგვლივ ფიჭვის ტყე აკრავს. წლეულს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობასა და აუცილებელი ინვენტარის შეძენას 300 ათასი მანეთი მოხმარდება.

• • •

სურათებზე: მოტოციკლისტთა კოლონა სტადიონისკენ მიდის; არტელის თავმჯდომარე ა. სტარიკოვი თავის ვაჟთან — ვლადიმერთან და მეუღლესთან ერთად სროლაში შეჯიბრების დაწყების წინ.

ფოტო ვ. ლუპეიკოსი.








გუშინდელ მატჩზე მოგვითხრობს მოსკოველი ჟურნალისტი

## სსრ კავშირის პირველობა

# ბრინჯაოს პრიზიორის რეპუტაცია ურყევია

**მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 15 ივლისი.**

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:2 (0:1).**

**„ტორპედო“:** კავაზაშვილი, ნეპომილუევი, პახომოვი, იანეცი, ჩუმაკოვი, შუსტიკოვი, ლენიოვი (სავჩენკო), სტრელცოვი, შალიმოვი, გერშკოვიჩი, პაისი.

**„დინამო“:** ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი (გავაშელი), ხურცილავა, მეტრეველი, გ. ნოდია (ცუტივაძე), მესხი.

მსაჯი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა).

დუბლიორები — 4:2 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

...ჩვენს წინაშეა სსრ კავშირის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილი 15 ივლისისათვის. კიდევ და კიდევ დაკვირვებით ვათვალიერებთ მას, კიდევ და კიდევ ყურადღებით ვსწავლობთ თბილისის „დინამოს“ მაჩვენებლებს: სამხრეთელებს ნათამაშევი აქვთ 17 მატჩი, მოწინააღმდეგეთა კარში გატანილია 16 ბურთი, საკუთარში მიღებულია 5. სხვა ყველაფერი წესრიგშია — გუნდი ლიდერთა შორის იმყოფება, დაგროვილ ქულათა რაოდენობა „ნორმალურია“, ე. ი. საკმაოდ მაღალი, მოგებათა რაოდენობაც ყაიდაშია. აი, ეს ორი ციფრი კი გასაოცარია. როგორ მოხდა, რომ ამ გუნდმა, რომლის ტრადიციას მუდამ შეტევა და აგრესია წარმოადგენდა, ასე უქლო შედეგიანობას, სამაგიეროდ კი სრულიად ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა — საიმედოდ ჩაკეტა თავისი კარი? შარშან იმავე 17 ტურის შემდეგ დინამოელებს გაშვებული ჰქონდათ 12 ბურთი, შარშანწინ — 15 და ა. შ.

ხომ არ შეიცვალა თბილისის „დინამო“? ხომ არ აიღო ქართული ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენელმა კურსი „ბეტონისკენ“? თუ ეს ასეა, ჩვენთვის, მოსკოველი სპეციალისტებისა და, უბრალოდ, გულშემატკივრებისთვის ძალზე სამწუხარო და საწყენი ამბავი იქნებოდა. თბილისის „დინამოს“ საგანგებო ადგილი უჭირავს ჩვენს ფეხბურთში. ეს გუნდი ყოველთვის სავსე იყო და არის შესანიშნავი ტალანტებით და მისი დაქვეითება მხოლოდ ქულებისთვის მებრძოლი, ე. წ. „საშუალო კატეგორიის“ დონემდე, უბრალოდ რომ ვთქვათ, დაუშვებელ ამბად მიგვაჩნდა.

და აი, თბილისის „დინამო“ ჩვენს წინაშეა. იგი წლეულს პირველად გამოდის მოსკოვში, თანაც, საუკეთესო ფორმაში მყოფი, ტრადიციულად საინტერესო მეტოქე ჰყავს — დედაქალაქის „ტორპედო“.

დაიწყო თამაში. მისი აღწერა ახლა, ვფიქრობ, ზედმეტია. ეს შესანიშნავი მატჩი ნახა ყველამ (მადლობა ტელევიზიას), ნახა მისი განუმეორებელი სილამაზით აღსავსე პერიპეტიები, ფეხბურთელთა მაღალი ოსტატობა, უკიდურესი დაძაბულება, მახვილგონივრული, მწვავე კომბინაციები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც მდიდარია თანამედროვე ფეხბურთი.

იტყვიან ხოლმე — კომენტარები ზედმეტიაო. მართლაც, თბილისელთა თამაშს ამ მატჩში კომენტარები არ სჭირდება, იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მათ, მაგრამ მე მაინც მინდა ხაზი გავუსვა დაცვის უკიდურესად რაციონალურ, საუკეთესოდ დაგეგმილ, მონოლითურ თამაშს, მის რეგულირებულ ურთიერთმოქმედებას თავდასხმასთან, ცალკეულ „ინდივიდუალისტთა“ იმპროვიზაციის ორგანულ დაკავშირებას საერთო გეგმასთან.

რა თქმა უნდა, დინამოელთა თამაშს არავითარი კავშირი არა აქვს „ბეტონთან“. ესაა საიმედოდ ორგანიზებული დაცვა, რომელიც ყოველ საჭირო მომენტში უერთდება იერიშს (გაიხსენეთ ძოძუაშვილის, რეხვიაშვილის, ჭელიძისა და სხვათა რეიდები) და წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ორივე ფუნქციას.

რად ღირს, თუნდაც, ჭელიძის გოლი! ბურთი მან გაიტანა სწორედ მაშინ, როცა „დინამო“ დაცვიდან შეტევაზე გადადიოდა, როცა მოსკოველები უკან იხევდნენ, დაცვით პოზიციებს ამაგრებდნენ და არც კავაზაშვილი ელოდა ბურთს.

მეორე გოლი? მართალი გითხრათ, ასე შესრულებული საჯარიმო დარტყმა მე არ მახსოვს. მეტრეველმა თვალი მოჰკრა, რომ კავაზაშვილი სწორად არ იდგა კარში, ორჭოფობდა, ნერვიულობდა... თბილისელთა კაპიტანმაც საუცხოოდ გამოიყენა ეს შანსი.

მეტრეველმა მეორე გოლი 77-ე წუთზე გაიტანა, ერთი წუთის შემდეგ კი ტოლჩინსკიმ დინამოელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა. სტუმრებმა ბევრი იდავეს ამ პრობლემატურ პენალტზე, მსაჯს ისიც შეახსენეს, რომ პირველ ტაიმში გაცილებით უფრო აშკარა დარღვევა მოხდა „ტორპედოს“ საჯარიმო მოედანზე, როცა მცველებმა იქ მეკარესთან პირისპირ გასული მეტრეველი მოცელეს.

მაგრამ მსაჯი შეუვალი დარჩა. მან თავისი გადაწყვეტილება არ გადათქვა და ტორპედოელებს მისცა 11-მეტრიანის დარტყმის უფლება.

ვის უნდა შეესრულებინა პენალტი? რასაკვირველია, სტრელცოვს. განაბული მაყურებლების წინაშე ნამდვილი დრამა გათამაშდა: ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი საფეხბურთო საჯელის უმაღლეს ზომას ასრულებდა მეკარის წინაშე, რომელსაც ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს გაშვებული წლევანდელ გათამაშებაში. ამ დუელის შედეგი თქვენ კარგად იცით: ურუშაძემ ბრწყინვალე რეაქცია გამოამჟღავნა და მოიგერია სტრელცოვის მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთი.

თბილისის დინამოელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათ ურყევად შეინარჩუნეს ბრინჯაოს პრიზიორის მაღალი რეპუტაცია, მორიგი, მეტად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში და, რაც მთავარია, მოსკოველ მაყურებელს აჩვენეს საუცხოო ფეხბურთი, ნამდვილი დიდი ფეხბურთი.

**ვ. პავლოვი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

### რსფსრ-ს III ზონა

მდგომარეობა 17 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა“ (გორი) | 20 | 12 | 6 | 2 | 31—11 | 30 |
| „ხიმიკი“ (ბალაკოვო) | 20 | 9 | 10 | 1 | 18—7 | 28 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 19 | 12 | 3 | 4 | 27—6 | 27 |
| „სპარტაკი“ (ბელგოროდი) | 19 | 11 | 4 | 4 | 28—12 | 26 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 20 | 10 | 4 | 6 | 28—14 | 24 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 20 | 10 | 3 | 7 | 17—13 | 23 |
| „ენერგია“ (ვოლჟსკი) | 20 | 8 | 6 | 6 | 21—13 | 22 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 20 | 7 | 8 | 5 | 20—16 | 22 |
| „უროჟაი“ (ლაბინსკი) | 18 | 7 | 8 | 3 | 11—10 | 22 |
| „ტორპედო“ (არმავირი) | 20 | 7 | 7 | 6 | 19—18 | 21 |
| „დაშკინი“ (ზაქათალა) | 20 | 8 | 5 | 7 | 20—29 | 21 |
| „უროჟაი“ (სლავიანსკი) | 20 | 7 | 6 | 7 | 19—19 | 20 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 20 | 7 | 4 | 9 | 21—23 | 18 |
| „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) | 19 | 6 | 6 | 7 | 16—20 | 18 |
| „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) | 20 | 6 | 5 | 9 | 15—18 | 17 |
| „ტრუდი“ (ენგელსი) | 18 | 4 | 7 | 7 | 12—17 | 15 |
| „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) | 20 | 3 | 8 | 9 | 14—23 | 14 |
| „ხიმიკი“ (ნევინომისკი) | 20 | 4 | 6 | 10 | 13—24 | 14 |
| „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) | 20 | 2 | 9 | 9 | 10—23 | 13 |
| „არაზი“ (ნახიჭევანი) | 20 | 4 | 4 | 12 | 15—30 | 12 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 20 | 1 | 4 | 15 | 18—35 | 6 |

# ცეცხლის ხაზზე... ეულად

საქართველოს მონკავშირის მეტენდურეთა წლევანდელი პირად-გუნდური ჩემპიონატი ორ ჯგუფად უნდა გამართულიყო. პირველ ჯგუფში გამოცდილ კოლექტივებს და სპორტსმენებს უნდა ეცადათ ძალა, მეორეში — ახალბედებს. მაგრამ მეორე ჯგუფში საასპარეზოდ მხოლოდ სამხრეთ ოსეთის, საგარეჯოსა და ქუთაისის თითო სპორტსმენი გამოვიდა, ზუგდიდის, წალენჯიხის, თელავისა და სხვა რაიონების მონადირეთა საზოგადოებებს კი არც ერთი სპორტსმენი არ გამოუყვანიათ. თავი იმით გაიმართლეს, ვაზნები და სამიზნეები არა გვაქვს და შეჯიბრებისთვის ვერ მოვემზადეთო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მთავარი მიზეზი ეს არაა, უბრალოდ, მონკავშირის რაიონული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ, რესპუბლიკური კომიტეტი კი მათ პასუხს არ სთხოვს.

თბილისის სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სასროლეთზე გამართული ტურნირის პირველი დღე სწორედ მეორე ჯგუფის სამ სპორტსმენს დაეთმო. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა საგარეჯოელმა თ. გზირიშვილმა, რომელმაც 100-დან 61 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ტ. ხიმშიაშვილი (სამხრეთ ოსეთი). მრგვალ სტენდზე სროლაში პირველობა, რა თქმა უნდა, ქუთაისელ ა. სამარიაძეს დარჩა, ვინაიდან მას არც ერთი მეტოქე არ ჰყავდა.

მეორე დღეს სტარტზე პირველი ჯგუფის წარმომადგენლები გამოვიდნენ. კარგად დაიწყო თბილისელმა ა. ბუკიამ — ადგილიდან სროლის პირველ სერიაში 23 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელ სპორტის ოსტატს გ. თოთიბაძეს, მაგრამ მეორე სერიიდან ბუკია დაწინაურდა, ამ დღეს 95 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

სპორტის ოსტატმა ტ. ქლენტმა (თბილისი) მრგვალ სტენდზე შეჯიბრება წარუმატებლად დაიწყო: 25 სამიზნიდან მხოლოდ 18 დაამსხვრია, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა — 75 შესაძლებლიდან 72 ქულა დააგროვა. დღის ბოლოს ქლენტს 89 ქულა აღმოაჩნდა და ლიდერობაც ხელთ იგდო.

დასკვნით ტურნირში ადგილიდან სროლაში უპირატესობა ისევ ბუკიას მხარეს იყო. ამჯერად მან 91 ქულა მოაგროვა, 200 გასროლის ჯამში 186 ქულა აჩვენა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. გ. თოთიბაძესა და ოსტატობის კანდიდატ გ. მეფარიშვილს საბოლოოდ ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, ამიტომ მესამე პრიზიორის გამოსავლენად მათ შორის დამატებითი სერია დაინიშნა. იმარჯვა მეფარიშვილმა. II ადგილი თბილისელ სპორტის ოსტატს ი. საგანელიძეს ხვდა — 178 ქულა.

მრგვალ სტენდზე ქლენტმა ბოლო 100 გასროლით 97 ქულა დააგროვა, 200 შესაძლებლიდან კი 186 ქულა ჰქონდა. მეორე პრიზიორმა თ. მატიანმა (თბილისი) 184 ქულას მოუყარა თავი. მესამე პრიზიორი ამ სახეობაშიც დამატებითმა სერიამ გამოავლინა: ბათუმელი ლ. შუმილინისა და თბილისელი ე. ძიძიგურის შეჯიბრება ძიძიგურის გამარჯვებით დამთავრდა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას თბილისელმა მეტენდურეებმა აჯობეს. მათ მოიგეს როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლა. ადგილიდან სროლაში მეორე იყო აფხაზეთის, მესამე — ქუთაისის გუნდი. მრგვალ სტენდზე ეს ადგილები მახარაძისა და აჭარის კოლექტივებმა დაიკავეს.

დაკომპლექტდა მონკავშირის ნაკრები, რომელიც მოსკოვში იასპარეზებს საუწყებო ჩემპიონატში.

**ჯ. მოწონელიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



# ბაზალეთის ტბის პირას

### შინაარსიანად გატარებული დასვენების დღე

ამას წინათ ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ბაზალეთის ტბაზე დასვენების დღე მოაწყო. საწარმოს 500-მდე მუშა-მოსამსახურე დილიდან ეწვია დუშეთის რაიონის ამ მშვენებას: ცურავდნენ, კატარღებითა და ნიჩბიანი ნავებით სეირნობდნენ და მცხუნვარე მზის სხივებით იკაჟებდნენ სხეულს. მერე ტბის პირას, სპორტულ მოედნებზე მოიყარეს თავი და შეჯიბრება გამართეს ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, სიმძიმეების აწევაში. მაგიდის ჩოგბურთში ყველა შეხვედრა მოიგო ელმავლების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა გ. გუდავაძემ და დასვენების დღის პრიზი დაიმსახურა. ფრენბურთში უძლიერესი აღმოჩნდა საიარაღო საამქროს კოლექტივი.

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ამ ღონისძიებამ მუშა-მოსამსახურეთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

**ლ. მინდოდაური.**

* * *



**სურათებზე:** დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ტბის ნაპირას; ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66443 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07632